განმარტებები სახელმწიფო აუდიტის შენიშვნებზე

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ზოგიერთ შემთხვევაში ხარვეზიანობის თაობაზე გამოთქმული შენიშვნების შესახებ

(მესამე გვერდის პირველი აბზაცი) სამუშაოების საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში შეტანილი ცვლილებები სახელშეკრულებო ღირებულების გაზრდა (10%-ის ფარგლებში)

კიცხი-ხიდარის გზის რეაბილიტაციაზე სახელშეკრულებო ღირებულების გაზრდა გამოიწვია წვიმებისა და წყალდიდობის შდეგად მეწყერულმა პროცესმა. რის გამოც საჭირო გახდა დამცავი გაბიონების მოწყობა.

ცენტრალური ბიბლიოთეკის შენობის რეაბილიტაციის სახელშეკრულებო ფასის მატება გამოწვეულია მშენებლობის პროცესში გამოვლენილი საფრთხით. არსებულ შენობაზე ნალესების მოხსნისას გამოიკვეთა, რომ მშენებლობაში გამოყენებული ბლოკი ნაწილობრივ ამორტიზირებული იყო რის გამოც საჭირო გახდა სპეციალური მავთულ-ბადის მოწყობა.

(მესამე გვერდის მეშვიდე აბზაცი) ბორითი-მარიამწყარო-ღორეშის გზის რეაბილიტაცია დასრულდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში. (ბოლო განსაზღვრულ ვადაში 2015 წლის 30 ნოემბრამდე).

მომზადდა სარჩელები და შევიდა სასამართლოში შემდეგ მეწარმეთა მიმართ

ხელშეკრულება N 122 სს ,,იბერია 21“ - 10097 ლარზე.

ხელშეკრულება N 158ინდ, მეწარმემევლუდი ძიძიგური-7887 ლარზე.

ხელშეკრულება N 168 ინდ. მეწარმე დიმიტრი ღამბაშიძე- 208,93 ლარზე.

ხელშეკრულება N169 ინდ. მეწარმე დიმიტრი ღამბაშიძე -1142,75 ლარზე.

ხელშეკრულება N 253 სს ,,მარკშეიდერი“ – 720 ლარზე.

ხელშეკრულება N 254 სს ,,მარკშეიდერი“ - 489,24 ლარზე.

ხელშეკრულება N 3 შ.პ.ს ,,L ჯგუფი“ – 24 412, 50 ლარზე.

ხელშეკრულება N118 ინდ. მეწარმე ბესარიონ დავაძე - 679,46 ლარზე.

ხელშეკრულება N 192 ინდ. მეწარმე ,,გურამი ღონღაძე“ - 60 ლარზე.

ხელშეკრულება N248 ინდ. მეწარმე ,,გიორგი თხელიძე“ - 799,25 ლარზე.

ხელშეკრულება N251 ,,შპს ,,ფუგო“ --67,50 ლარზე.

ხელშეკრულება N384 ინდ. მეწარმე ვლადისლავ ბულიგინი - 1154,97 ლარზე.

ხელშეკრულება N295 გუმბათი 7 - 49 578,55 ლარზე.

სულ სასარჩელო მოთხოვნა სასამართლოში ამ ეტაპზე შეტანილია 97 297,15 ლარზე და დღემდე გრძელდება სარჩელების მომზადება იმ მეწარმეთა მიმართ რომელთაც დაკისრებული აქვთ პირგასამტეხლოები.

ნაწილი სასარჩელო მოთხოვნები პირველი ინსტანციის სასამართლომ უკვე დააკმაყოფილა და დაავალა მათ დაკისრებული პირგასამტეხლოების გადახდა, ესენია: სს ,,იბერია 21“, ინდ, მეწარმე მევლუდი ძიძიგური , ინდ. მეწარმე დიმიტრი ღამბაშიძე, სს ,,მარკშეიდერი“, ინდ. მეწარმე ბესარიონ დავაძე , ინდ. მეწარმე ,,გურამი ღონღაძე“ , ,,შპს ,,ფუგო“ , ინდ. მეწარმე ვლადისლავ ბულიგინი, რომელთა საერთო გადასახდელი თანხა შეადგენს 22 506,85 ლარს, ხოლო შ.პ.ს ,,L ჯგუფი“, ,,გუმბათი 7“ -ის და ინდ, მეწარმე გიორგი თხელიძის მიმართ სარჩელი შეტანილია სასამართლოში და ველოდებით სასამართლო პროცესს.

2013 წლის 10 სექტემბერს შპს „ჯი-აი-დი“-მა ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან გაფორმებული ხელშეკრულების ფარგლებში შეასრულა დაბა ხარაგაულში 8 ქუჩის კაპიტალური შეკეთება. მათ შორის თენგიზ ჭიპაშვილის ქუჩაზე 735 კვ.მ-ზე მოეწყო რიყის ქვით ქვაფენილი. აღნიშნული ქუჩის რთული რელიეფის გამო ძირითადად გამოიყენება ფეხითმოსიარულეთა გადასაადგილებლად, მასზე ცუდი ამინდის შემთხვევაში (წვიმა, თოვლი, ყინავა) ფეხითმოსიარულეთა გადადგგილება გართულებული იყო. მოსახლეობის დაჟინებული მოთხოვნით ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობამ სხვა ქუჩებზე შესრულებული სამუშაოებით მიღებული ეკონომით მოახდინა აღნიშნული ქუჩაზე ბეტონის საფარის დაგება. მართალია აღნიშნულ ქუჩაზე მოხდა გარკვეული დამატებითი ხარჯების გაწევა, მაგრამ პროექტის დასრულების შემდეგ აღნიშული ქუჩით მოსარგებლე მოსახლეობა გადადგილების დროს თავს გრძნობენ კომფორტულად და გამოთქვამენ კმაყოფილებას.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და შპს „გეკა“-ს შორის 2014 წლის 6 მაისს გაფორმებული N134 ხელშეკრულების საფუძველზე უნდა დაესრულებინა 2014 წლის 2 აგვისტოს. შპს „გეკა“-მ N134 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისათვის 2014 წლის 1 აგვისტოს მოგვმართა N54 წერილით ვადის გადაწევის შესახებ. ჩვენს მიერ წერილის განხილვისა დამსჯელობის პროცესში მოგვეხდინა თუ არა და რამდენი დღით ვადის გადაწევა სამუშაოების შემსრულებლისათვის, შემსრულებელმა შემოიტანა განაცხადი სამუშაოების დასრულებაზე 8 აგვისტოს. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის შესაბამისი სამსახურებისა და კომისიის მიერ მოხდა აღნიშნული განაცხადის გადამოწმება და დაადასტურეს სამუშაოების დასრულება. ვინაიდან სამუშაოები ჩვენის აზრით შესრულებული იყო ხარისხიანად, რომელიც შემდგომ დადასტურდა აუდიტისა და ექსპერტების დასკვნებით, ვადის გადაცილება 6 დღე

ჩაუთვალეთ საპატიოდ. შემდგომ მიეცათ გარკვეული ვადა აუდიტისა და ექსპერტის დასკვნების წარმოსადგენად. 2014 წლის 20 აგვისტოს წარმოდგენილი დასკვნების საფუძველზე მოხდა მიღება ჩაბარების გაფორმება. ამიტომ შპს „გეკა“-ს ჯარიმები N134 ხელშეკრულების შესრულების ვადის გადაცილებაზე არ დაერიცხა.

ინფრასტრუქტურის კუთხით გამოთქმული შენიშვნების შესახებ

კიცხი ხიდარის გზის რეაბილიტაციის სამუშაოებში დამატებითი სამუშაოები და საპროექტო ღირებულების გაზრდა გამოიწვია მოსულმა წყალდიდობამ, რომელმაც ძირი გამოუთხარა მშენებარე გზას. აღნიშნულის გამო საჭირო გახდა გზის დამცავი გაბიონების მოწყობა. ამასტან ერთად თანხის გაზრდა გამოიწვია ა/ბეტონის გზის დაგრძელებამ ა/ცენტრიდან საბავშვო ბაღამდე რომლის გაგრძელების შესახებ მუნიციპალიტეტს თხოვნით მიმართა სოფლის მოსახლეობამ, მაჟორიტარმა დეპუტატმა და გამგებლის წარმომადგენელმა.

ცენტრალური ბიბლიოთეკისათვის არსებული შენობის რეაბილიტაციის პროცესში შენობაზე ძველი ნალესი ფენის მოხსნის შემდეგ საჭირო გახდა კედლის სამშენებლო ბლოკების გაძლიერების საჭიროება (ხანდაზმულობის გამო გამოფიტული იყო). აღნიშნულის გამო კედლებზე მოეწყო გამაგრების მიზნით მავთულბადე. საპროექტო დოკუმენტაციის ცვლილება ზოგ შემთხვევაში გამოწვეულია საპროექტო ორგანიზაციების მიერ დაშვებული შეცდომების გამოც (სამუშაოს და მასალების მოცულობები).

ბორითი-მარიამწყარო-ღორეშის საავტომობილო გზის მოხრეშვისას ინერტული მასალების კარიერის გამოყოფის საკითხი მუნიციპალიტეტის მიერ დასმული იქნა ერთადერთი მოსაზრების გამო, ზიდვის მანძილის შემცირების და შესაბამისად პროექტის ღირებულების შემცირების სურვილით (სახელმწიფო სახსერბის დაზოგვისათვის). ინერტული მასალების კარიერის გამოყოფის საკითხი თავდაპირველად განსაზღვრულ ვადაში ვერ მოხერხდა რამაც გამოიწვია ვადის გადაწევა. შენიშვნა სამართლიანია და აღარ დაიგეგმება პროექტები უკვე არსებული ლიცენზირებული კარიერების მიმართების გარეშე.

2013-2014 წლებში სოფელ მაქათუბანში განხორციელებულ ხიდის მშენებლობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო ცვლილება გამოიწვია იმ გარენმოებამ , რომ საპროექტო ორგანიზაციის მიერ არასრულყოფილად იყო ჩატარებული მდინარე ძირულის ჰიდროლოგიური კვლევა. ხარვეზი მშენებლობის დაწყებიდან მალევე გამოიკვეთა რის გამოც აუცილებლობიდან გამომდინარე პროექტმა განიცადა ცვლილება.

რაც შეეხება სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განხორციელებულ პროექტებს, რომლითაც ვერ სარგებლობს მოსახლეობა გამოწვეულია სოფლისათვის განკუთვნილი თანხების სიმცირით, რის გამოც ვერ მოხერხდა ერთი წლის განმავლობაში სარიტუალო დარბაზის დაწყება და დასრულება. წყლის სისტემების შემთხვევაში, მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე მუნიციპალიტეტმა განახორციელა საჭირო მასალების შესყიდვა, სამუშაოების განხორციელების პირობა შეთანხმების საფუძველზე მიცემული ქონდა შესაბამისი სოფლის მოსახლეობას. ზოგ შემთხვევაში მოსახლეონის მიერ პირობა შესრულებული არ იქნა რამაც გამოიწვია პროექტის დაუსრუელებლობა. ანალოგიური მდგომარეობაა წისქვილების სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების მხრივაც.

ტენდერებსა და გამარტივებული შესყიდვების განხორციელებისას ხელშეკრულებების გაფორმებაზე გამოთქმული შენიშვნების შესახებ

საანგარიშო პერიოდში როგორც სახელმწიფო აუდიტის მიერ არის აღნიშნული მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებულ ტენდერებზე წინადადებების წარმოსადგენად პრეტენდენტებს განსაზღვრული ჰქონდათ ტენდერის გამოცხადებიდან 2 დღე. რაც სრულიად შესაბამისობაშია ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონთან. შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ როდესაც ცხადდება ერთეტაპიანი გამარტივებული ელექტრონული ტენდერი, ტენდერის დასრულების დრო განსაზღვრულია სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემით და შესყიდვის უმოკლეს ვადებში განსახორციელებლად სისტემა იძლევა საშუალებას ტენდერის გამოცხადებიდან 3 სამუშაო დღეში გამოავლინოს ტენდერში მონაწილე პრეტენდენტები. ტენდერის მიმდინარეობასთან დაკავშირებით განვმარტავ, რომ ტენდერის გამოცხადებიდან პირველი დღე განკუთვნილია შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა მხოლოდ შემსყიდველს აძლევს უფლებას საჭიროების შემთხვევაში ტენდერის გამოცხადებიდან ერთი დღის ვადაში დამატებით ატვირთოს საჭირო დოკუმენტაცია, დააკორექტიროს ან წაშალოს, ჩაანაცვლოს და ასე შემდეგ. *(ამ დროის განმავლობაში პრეტენდენტი ვერ აკეთებს სატენდერო შეთავაზებას)* ხოლო ტენდერის გამოცხადებიდან მე-2 და მე-3 დღე (ანუ 2 დღე) განკუთვნილია ტენდერით დაინტერესებული პრეტენდენტებისათვის რომლებსაც შეუძლიათ ტენდერზე გააკეთონ სატენდერო შეთავაზება.

მუნიციპალიტეტის მიერ შეწყვეტილი ტენდერებთან დაკავშირებით მოგახსენებთ, რომ სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემა იძლევა როგორც დაზუსტების ისე ტენდერის შეწყვეტის შესაძლებლობას, ტენდერის გამოცხადებისას სატენდერო დოკუმენტაციის ან ხარჯთაღრიცხვის დაზუსტების დროს სატენდერო კომისიის მიერ გარკვეული მიზეზების გამო შეწყვეტილი იქნა ტენდერი შესაბამისი ოქმის საფუძველზე და ზოგიერთ შემთხვევაში ტენდერი გამოცხადდა თავიდან დაზუსტებული სატენდერო დოკუმენტაციითა და ხარჯთაღრიცვით.

მუნიციპალიტეტის მიერ გამოცხადებული ტენდერების უარყოფითად დასრულების შესახებ განვმარტავ რომ, ამ შემთხვევაში საქმე ეხება იმ გარემოებას როდესაც სატენდერო კომისიამ დაადგინა ტენდერში მონაწილე პრეტენდენტების მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების შეუსაბამობა მუნიციპალიტეტის სატენდერო დოკუმენტაციასთან ან პრეტენდენტმა უარი განაცხადა თავის სატენდერო წინადადებაზე, ან უარი თქვა ხელშეკრულების გაფორმებაზე. ამ შემთხვევაში მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიამ იმოქმედა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილი N9 ბრძანების შესაბამისად, შეადგინა შესაბამის ოქმი და პრეტენდენტს აღნიშნული ტენდერიდან მისცა დისკვალიფიკაცია და ტენდერს მიანიჭა სტატუსი დასრულებულია უარყოფითი შედეგით.

მუნიციპალიტეტის მიერ საპროექტო-სახაჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვა ძირითადად განხორციელებულია გამარტივებული ელექტრონული ტენდერების

საშუალებით (სოფლის პროგრამის გადრა) რომლებსაც ჩაბარებისას თან დართული ჰქონდათ ექსპერტიზის დასკვნა.

გაფორმებული ხელშეკრულებებში, საჯარიმო სანქციებთან დაკავშირებით ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის გამოიყენებოდა საჯარიმო სანქციები ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.5%-ის , 0.3%-ის და 0.1% პროცენტის ოდენობებით. საჯარიმო სანქციები სახელშეკრულებო ღირებულებიდან და შესყიდვის ობიექტის ხასიათიდან გამომდინარეობდა, მაგალითად სამშენებლო სამუშაოები თუ დიდი მოცულობის იყო და შესაბამისად ხელშეკრულების ღირებულება ათეული ათასებისაგან შედგებოდა გამოიყენებოდა პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.5%-ის ოდენობით ან 0.3%-ის ოდენობით ხოლო თუ სახელშეკრულებო ღირებულება არ აღემატებოდა 5000 ლარს გამოიყენებოდა 0.1%-ის ოდენობით. ტენდერის გამოცხადებისას სატენდერო დოკუმენტაციის თანმხლებ ხელშეკრულების პროექტში მითითებული იყო საჯარიმო სანქციებისათვის 0.1% პროცენტიდან 0.5% პროცენტამდე. სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებული იყო რომ ხელშეკრულების პროექტი დეტალურად დაზუსტდებოდა უშალოდ ხელშეკრულების გაფორმების პროცესში. ხელშეკრულების გაფორმებისას რამოდენიმე ხელშეკრულებაში არის ჩადებული 0.5%-ის ნაცვლად 0.3% და 0.1%-ის ნაცვლად ჩადებულია 0.2%-ის ოდენობა რაც გამოწვეულია შესყიდვის ობიექტის ხასიათისა და ღირებულებიდან გამომდინარე. თუმცა ავღნიშნავ რომ ასეთ ქმედებას არ ქონია სისტემატური ხასიათი, სულ რამოდენიმე ხელშეკრულებაშია პირგასამტეხლოს პროცენტები შეცვლილი და არცერთ ხელშეკრულებაზე არ გამოყენებულა საჯარიმო სანქციები.

რაც შეეხება ხელშეკრულებებში შესულ ცვლილებებს, რომლებზეც გაფორმებულია შესაბამისი ურთიერთშეთანხმების აქტები, სხვადასხვა სამსახურების მიერ არის მომზადებული და ზოგიერთ შემთხვევაში ვერ ხდებოდა წინა შეთანხმების აქტებტან იდენტიფიცირება რამაც გამოიწვია ნუმერაციის არევა და ზოგიერთ შემთხვევაში ერთი და იმავე ნომრებით დანომრა ძირითადად ეს ეხება 2013-2014 წლებს.

დასკვნაში აღნიშნულია რომ ისეთ მიმწოდებლებთან რომლებიც ხელშეკრულების დადებამდე 1-30 დღემდე ადრე არიან დარეგისტრირებულები და მათ უმრავლესობას ბოლო წლების განმავლობაში არ ქონიათ ურთიერთობა მუნიციპალიტეტთან.

შესყიდვები ეხება მხოლოდ სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ პროექტებს, რომელთა განსახორციელებლად მუნიციპალიტეტს, გამარტივებული შესყიდვის განხორციელების უფლება მთავრობის თანხმობით ქონდა მიცემული. შესყიდვები განხორციელდა ერთ პირთან მოლაპარაკების გზით, ისეთ მიმწოდებლებთან რომლებსაც გამგებლის წარმომადგენლებმა გაუწიეს რეკომენდაცია. მიმწოდებლებთან რომლებთანაც ხელშეკრულებები გაფორმდა მუნიციპალიტეტში მაცხოვრებლები არიან და დაინტერესებულნი იყვნენ თავიანთი ტერიტორიული ერთეულებისათვის, სოფლებისათვის და უბნებისათვის გამოყოფილი თანხები მაქსიმალურად ყოფილიყო გამოყენებული განსახორციელებელ პროექტებზე და არ იყვნენ მოგებაზე ორიენტირებულნი.

ადგილობრივ მომწოდებლებთან ხელშეკრულებების გაფორმება და ის გარემოება რომ მიმწოდებლები 1-30 დღით ადრე იყვნენ დარეგისრტირებულები არ წარმოადეგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონის შეუსაბამო ქმედებას. რაც შეეხება ერთ ხელშეკრულებას, რომელიც ერთი დღით ადრეა გაფორმებული ვიდრე მიმწოდებლის დარეგისტრირება მოხდებოდა, გამოწვეულია სამუშაო პროცესში ხელშეკრულების დათარიღების შეცდომით. და ეს ეხება 2014 წლის 30 ივლისს ი.მ ფრიდონ კამკამიძე-სთან გაფორმებულ ხელშეკრულებას რომლის ჯამური ღირებულება შეადგენს 3277 ლარს და ამ თანხით უნდა შესრულებულიყო კიცხის ტ/ე სოფ. ბორში პავლაძეების და მაჭავარიანების უბნის წყლის სისტემის შეკეთების სამუშაოები.

სოციალური დახმარების გაწევაზე გამოთქმული შენიშვნების შესახებ

სოციალურად დაუცველი ოჯახების მკურნალობისა და დახმარების მიზნით, პროგრამიდან ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მიხედვით, გაწეულია 1140.5 ათასი ლარის ხარჯი. დებულების მიხედვით, სამედიცინო მომსახურების გაწევისა და მედიკამენტებით დახმარების ერთ-ერთ პირობას (კრიტერიუმს) წარმოადგენდა ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოდან სარეიტინგო ქულის შესახებ. მუნიციპალიტეტის მიერ, მოწოდებული მონაცემებით, ამ მუხლით გაწეულია 83.6 ათასი ლარის

კომისიის დებულების მიხედვით დახმარების გაწევისთვის ბენეფიციარის წარმოსადგენ დოკუმენტაციაში ერთ-ერთ მოთხოვნას წარმოადგენდა ცნობა სოც. მომსახურების სააგენტოდან სარეიტინგო ქულისა და სადაზღვევო პოლისით სარგებლობის შესახებ. როგორც მოგეხსენებათ, ხშირია შემთხვევები, როდესაც ოჯახი არ არის აღრიცხული სოციალურად დაუცველთა ბაზაში, მაგრამ მათი მდგომარეობა სოციალურად მძიმეა. ჩემს მიერ სახელმწიფო აუდიტისთვის მიწოდებული იქნა ინფორმაცია, რომელშიც განმარტებულია, რომ გარდა სოციალურად დაუცველ გარდაცვლილთა დაკრძალვის ხარჯისა, დახმარების გასაწევად შეფასების კრიტერიუმად არ არის მიჩნეული სარეინგო ქულის ოდენობა, მაგრამ რადგან ეს ფაქტი დაფიქსირდა ნაკლოვანებად, მიმდინარე წელს შევიდა ცვლილება სოციალური დახმარების გაცემის წესში და ბენეფიციარისგან მოითხოვება ცნობა სმ სააგენტოდან მხოლოდ იმის დასადგენად, თანხის რა პროცენტით გაეწიოს თანადაფინანსება.

სადღესასწაულო დღეებში გაცემულია 76.8 ათასი ლარის დახმარება. მუნიციპალიტეტის მიერ პროგრამით არ არის დადგენილი კრიტერიუმები, რომელთა მიხედვითაც განისაზღვრება, თუ ვის უნდა მიცემოდა დახმარება. პასუხისმგებელი პირის განმარტებით, სამიზნე ჯგუფის შერჩევა ხდებოდა სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის მიერ, ხოლო ბენეფიციარების შერჩევა - გამგებლის წარმომადგენლის მიერ გაცემული რეკომენდაციის საფუძველზე. აღნიშნულიდან გამომდინარე, მაღალია რისკი იმისა, რომ დახმარების გაცემა განხორციელდა სუბიექტური შეხედულებებით.

კომისიას უფლება აქვს შესაძლებლობის ფარგლებში მიიღოს გადაწყვეტილება სხვადასხვა სამიზნე ჯგუფისთვის დახმარების გასაწევად (მუხლი 5. პუნქტი 7.), რომლის ფარგლებშიც ჩვენი აზრით, ბენეფიციართა რაოდენობა წლის დასაწყისში ვერ გაიწერება. კონკრეტული სადღესასწაულო დღეების წინ არსებული თანხის შესაბამისად განისაზღვრება სამიზნე ჯგუფი. გამგებლის წარმომადგენლების მეშვეობით ხდება მათი სიების დაზუსტება, რაზეც პასუხისმგებელნი არიან წარმომადგენლები. ეს განმარტება ასევე მიეწოდა ინფორმაციის სახით სახელმწიფო აუდიტის სამსახურს, თუმცა არ იქნა გათვალისწინებული და არც შესაბამისი რეკომენდაცია მიგვიღია აღნიშნულთან დაკავშირებით.

სტიქიით დაზარალებული და უკიდურესად მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე მოქალაქეთა დასახმარებლად, მუნიციპალიტეტის მიერ ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის

მიხედვით, სულ გაცემულია 268.6 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ პროგრამის მიხედვით, თავდაპირველად დახმარების მიმღებად განისაზღვრნენ მხოლოდ სტიქიით დაზარალებულები და კატეგორიის მინიჭება ხორციელდებოდა იმ შემთხვევაში, თუ დაზიანება დაკავშირებული იყო სტიქიურ მოვლენებთან., 2013 წლის 25 ივლისს განხორციელებული ცხლილების მიხედვით, დახმარება გაიცემოდა არა მხოლოდ სტიქიით დაზარალებულ პირებზე, არამედ უკიდურესად მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე მოქალაქეებზეც, თუმცა შეფასების კრიტერიუმი, რომლითაც ხდებოდა კატეგორიის მინიჭება, არ შეცვლილა.

მართლაც იყო ტექნიკური ხარვეზი, როდესაც 2013 წ. 25 ივლისს სოციალურად დაუცველ და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე მოქალაქეების დახმარების მიზნით შექმნილი კომისიის დებულებაში განხორციელებული ცვლილების მიხედვით ბენეფიტის მიმღები გახდა უკიდურესად მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე მოქალაქე, თუმცა, სტიქიის შედეგად დაზარალებული მოქალაქეების განცხადებების შემსწავლელი კომისიის დებულებაში შესაბამისი ცვლილება არ მომხდარა. დღეისთვის აღნიშნული ხარვეზი გასწორებულია.

შიდა აუდიტის სამსახურზე გამოთქმული შენიშვნების შესახებ

შიდა აუდიტისა და მონიტორინგის სამსახურის მიერ არ შემოწმებულა სამსახურები, რადგან 2014 წლის დეკემბრის თვეში, სამსახურის 2015 წლის წლიური გეგმის შედგენაზე მუშაობის პროცესში, ცნობილი გახდა, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის სატრუქტურული ერთეულების(სამსახურების) 2015 წლის 01 იანვრიდან 2013-14 წლებისა და 2015 წლის 6 თვის მუშაობის შედეგების აუდიტორულ შემოწმებას 2015 წლის 01 იანვრიდან განახორციელებდა სახელმწიფო აუდიტის სამსახური. აქედან გამომდინარე, აღარ იქნა 2015 წლის გეგმაში გათვალისწინებული აღნიშნული სამსახურების შემოწმება. ამის მიზეზი იყო ისიც, რომ საქართველოს კანონის „შიდა ფინანსური კონტროლის 21-ე მუხლის მე-2 ნაწილის მე2, მე-4, მე-6 პუნქტებით მონიჭბული უფლებამოსილების საფუძველზე შემოწმების ობიექტები შერჩეული იქნა რისკის ხარისის შეფასების მიხედვით, რომლის თანახმად, უფრო დიდი რისკის მატარებელთა ჯგუფში მოხვდნენ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები. რისკის შეფასების საფუძველზე შემუშავდა 2016 წლის წლიური გეგმაც, მაგრამ უახლოეს დღეებში მასში შეტანილი იქნება ცვლილებები და წინა წელს შემოწმებული ზოგიერთი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ადგილს შესამოწმებელთა რიგში დაიკავებს გამგეობის რამდენიმე სამსახური.

რაც შეეხება,ანგარიშებში შიდა აუდიტის სახეობის მითითებას, კანონი „სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ“ არ აწესებს ასეთი მითითების ვალდებულებას. სამსახურის მიერ შექმნილი ანგარიშები შედგენილია ამ კანონის მე-2 მუხლის „პ“პუნქტის და 23-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნათა დაცვით. 2015 წლის ივლისის თვიდან ჩატარებული ყველა შემოწმების ანგარიშში მითითებულია თუ რა სახის აუდიტი იქნა ჩატარებული.